

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

როგორ გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა  
ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.

ქ. ქუთაისის N14 საჯარო სკოლა

ბელა ბოხუა.  
ლალი ჭიქაბერიძე.

2018 – 2019 წელი.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი -----	3
თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა -----	4
1.1. მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ-----	4
1.2. პრობლემის იდენტიფიცირება-----	5
1.3. საკვლევი საკითხის აქტუალობა-----	5
1.4. კვლევის მიზანი-----	7
1.5. კვლევის ამოცანები-----	7
თავი II. პრაქტიკული კვლევის არსი-----	7
თავი III. ლიტერატურა -----	8
3.1. ლიტერატურის მიმოხილვა-----	8
თავი IV. კვლევის დიზაინი -----	14
4.1 საკვლევი საკითხის კითხვები-----	14
4.2. კვლევის სამიზნე ჯგუფები-----	15
4.3. კვლევის მეთოდები-----	15
4.4. კვლევის ვადები-----	16
თავი V. კვლევის შედეგები-----	17
5.1. მონაცემების ანალიზი-----	17
5.2. ძირითადი მიგნებები-----	29
5.3. ინტერვენციები-----	29
5.4. ინტერვენციების აღწერა-----	30
თავი VI. ინტერვენციების შეფასება -----	33
6.1. ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი-----	33
თავი VII. რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები-----	36
7.1. რეკომენდაციები-----	36
7.2. კვლევის ნაკლოვანებები-----	37
თავი VIII. დასკვნა -----	38
ბიბლიოგრაფია-----	39
დანართი-----	40
რეფლექსია -----	45

## შესავალი

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა წარმოადგენს სასწავლო პროცესში წამოჭრილი პრობლემის იდენტიფიცირებას, მის სიღრმისეულ შესწავლას და შემდგომ ეტაპზე მიღებული გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვას.

საჯარო სკოლაში საბაზო-საშუალო საფეხურზე ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობისა და აკადემიური მოსწრების დაბალი დონე. არსებული პრობლემის იდენტიფიცირებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შემცირებისათვის ქ. ქუთაისის N 14 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა ბელა ბოხუამ და გეოგრაფიის მასწავლებელმა ლალი ჭიქაბერიძემ ჩავატარეთ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის მიზეზები საგაკვეთილო პროცესში და მოგვეძებნა გზები მოსწავლეთა მოტივაციისა და ცოდნის დონის ასამაღლებლად.

ნაშრომში განხილულია საბაზო საფეხურზე, კერძოდ 7-8 კლასში, მოსწავლეების ჩართულობის ამაღლების გზების ძიება საგაკვეთილო პროცესში.

ნაშრომი შედგება 8 თავისაგან.

I თავში მოცემულია ინფორმაცია სსიპ ქ.ქუთაისის N14 საჯარო სკოლის შესახებ, განხილულია პრობლემა და საკვლევი საკითხი, პრობლემის გამომწვევი მიზეზები, მიზანი და კვლევის ამოცანები.

II თავი ეხება პრაქტიკული კვლევის არსს.

III თავი ლიტერატურის განხილვას ეთმობა.

IV თავში კვლევის დიზაინია განხილული.

V თავი ეხება კვლევის საფუძველზე მიღებულ შედეგების ანალიზს, ძირითად მიგნებებსა და ინტერვენციებს.

VI თავი ეხება ინტერვენციების შედეგებს მათ ანალიზსა და შეფასებას.

VII თავი მოიცავს რეკომენდაციებს და კვლევის ნაკლოვანებებს.

VIII თავში გაკეთებულია დასკვნა.

## თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა.

### 1.1. მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ.

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში 702 მოსწავლე სწავლობს. საბუნებისმეტყველო კათედრა შედგება 6 მასწავლებლისაგან, აქედან უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს 4 მასწავლებელს, ხოლო პრაქტიკოსია 2 მასწავლებელი. საზოგადოებრივ კათედრაზე ექვსივე მასწავლებელია სერტიფიცირებული, აქედან ორი გეოგრაფიის მასწავლებელია. საბუნებისმეტყველო კათედრისა და გეოგრაფიის მასწავლებლებმა გაიარეს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ისინი პერმანენტულად გადიოდნენ ტრენინგებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების კუთხით. კათედრის წევრები გამუდმებით ვზრუნავთ პროფესიულ განვითარებაზე, გავდივართ ტრენინგებს, ვკითხულობთ შესაბამის ლიტერატურას, სხვადასხვა ნაშრომებს. მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ვნერგავთ სწავლის პროცესში. საგაკვეთილო პროცესში ვიყენებთ ინოვაციებს და თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც ხელს გვიწყობს ხარისხიანად წარმართოთ სწავლა -სწავლების პროცესი. კათედრის წევრები მუდმივად ვთანამშრომლობთ, ვუზიარებთ ცოდნასა და გამოცდილებას ერთმანეთს. აღსანიშნავია კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების პრაქტიკის დანერგვაც. აღნიშნული აქტივობა ხელს გვიწყობს საერთო ჭრილში შევხედოთ საგაკვეთილო პროცესში, სწავლებისას წარმოქმნილ ხარვეზებს და ერთად ვეძიოთ გამოსავალი. ყველაფერი ეს კი, გვამძლევს პროფესიული ზრდის საშუალებას, მოსწავლეებში სწავლის ხარისხის ამაღლებას მრავალფეროვანი უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით (ლექტორები, პროექტორები, უწყვეტი ინტერნეტი), რაც საშუალებას იძლევა ხარისხიანად წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი.

## 1.2. პრობლემის ინდენტიფიცირება.

კვლევის წარმართველი მასწავლებლების დაკვირვებით მოხდა შემდეგი პრობლემის გამოკვეთა. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შესასწავლი საგნების ძირითად ნაწილს ემატება ახალი საგნები, როგორცაა 7 კლასში-გეოგრაფია და 8 კლასში- ქიმია. მოსწავლეთა დაინტერესება და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხი თანდათან იკლებს. მოსწავლეთა ძირითადი ნაწილი სასწავლო წლის მანძილზე პასიურია გაკვეთილზე. აღარ ასრულებს საშინაო დავალებებს, ეზარებათ გაკვეთილის მომზადება. მოსწავლეთა უმეტესობა დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა, მათ არ გააჩნიათ სწავლისადმი არც შინაგანი და არც გარეგანი მოტივაცია. არ აქვთ საკუთარი შესაძლებლობის რწმენა, თავდაჯერებულობის უნარი. თავს იკავებენ საკუთარი აზრის დაფიქსირებისგან. ამ ასაკში მოსწავლეებს სხვა ინტერესი უჩნდებათ, ნაკლებად ინტერესდებიან სასწავლო პროცესით, რაც იწვევს სწავლის ხარისხის დაქვეითებას. კვლევის მიზანი იყო საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაუმჯობესების გზების ძიება და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება.

## 1.3. საკვლევი საკითხის აქტუალობა.

კვლევის მთავარი კითხვა იყო რა იწვევდა საბაზო საფეხურებზე მოსწავლეთა დაბალ ჩართულობას გაკვეთილზე.

საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე გამოვყავით შემდეგი საკვლევი საკითხები.

- არის თუ არა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთ პოზიტიური და ურთიერთ პატივისცემაზე დამყარებული დამოკიდებულება?
- იყენებენ თუ არა მასწავლებლები გაკვეთილზე სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს და აქტივობებს?
- ზრუნავენ თუ არა მასწავლებლები მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე?
- რა არის პრობლემა მოსწავლეთა გაკვეთილზე ნაკლები ჩართულობის?
- რა ინტერესები აქვთ მოსწავლეებს (რომელი აქტივობები მოსწონთ?) და როგორ მოვახდინოთ მათი დაინტერესება გაკვეთილზე?
- შეფასების, რომელი კრიტერიუმი მიაჩნიათ მნიშვნელოვნად მოსწავლეებს მათი სწავლის გაუმჯობესებისთვის?

მოსწავლეები დაწყებით საფეხურზე უფრო აქტიურად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში, ხალისით ერთვებიან სხვადასხვა აქტივობებში, დავალების შესრულების ხარისხიც მაღალია, რაც შეეხება საბაზო და საშუალო საფეხურს აქ მოსწავლეთა შედეგები მნიშვნელოვნად ეცემა. საკითხი აქტუალურია სკოლაში და ამის შესახებ მუდმივად ვსაუბრობთ, როგორც კათედრაზე ასევე პროფესიულ წრეებში. აღსანიშნავია, რომ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა კიდევ უფრო დიდი გამოწვევების წინაშე გვაყენებს მასწავლებლებს, რადგან ჩვენ უკვე არა მაქსიმალური, არამედ მოსწავლეების თანაბარი ჩართულობა მოგვეთხოვება. ამ ფონზე, პრობლემა, რომელიც გამოვკვეთეთ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში კიდევ უფრო მეტად აქტუალური ხდება. საკითხს აქტუალობას მატებს ისიც, რომ იგი სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების გამომწვევია, თუ საბაზო საფეხურის მოსწავლე ვეღარ ერთვება სასწავლო პროცესში იგი დაკარგავს ინტერესს და ეს არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი საგნით. ამდენად გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება მივიღოთ დაბალი აკადემიური შედეგების მქონე მოსწავლე. სასკოლო პრაქტიკას უამრავი პრობლემა ახლავს თან, თუმცა კვლევის ჯგუფი წარმოდგენილი არგუმენტაციის გამო შეჩერდა მოსწავლეთა ჩართულობის პრობლემაზე მისი მაღალი აქტუალობის გამო. საბაზო საფეხურზე შესასწავლი საგნების რაოდენობაც და სირთულეც მატულობს, რაც იწვევს მოტივაციის და ჩართულობის დაქვეითებას. მოსწავლეებს ეზარებათ დამოუკიდებლად მუშაობა, კლებულობს როგორც შინაგანი ასევე გარეგანი მოტივაცია. რთულდება მათი დაინტერესება, რაც მოქმედებს მათ აკადემიურ მიღწევებზე. აღნიშნული პრობლემა აქტუალურია, რადგან მიუხედავად მასწავლებლების ძალისხმევისა მისი მოგვარება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. იმისათვის, რათა შეგვესწავლა არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზები და მიზანმიმართულად დავხმარებოდით მოსწავლეებს სხვადასხვა უნარების განვითარებაში, გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა კვლევა, რათა დავკვირვებოდით და გამოგვეკვლია, რატომ უჭირთ მოსწავლეებს სწავლის პროცესში ბოლომდე აქტიურად იყვნენ ჩართულები და ამისათვის რისი გაკეთება შეიძლება.

#### 1.4. კვლევის მიზანი

მოსწავლეთა ჩართულობის გაუმჯობესების გზების ძიება.

პროექტის მიზანია, კვლევის ჯგუფმა დეტალურად შეისწავლოს მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის გამომწვევი მიზეზები საბაზო საფეხურზე. გამოიკვლიოს მოსწავლეთა ჩართულობის პრობლემები მეცნიერულ დონეზე, რაც ამ შემთხვევაში გულისხმობს არსებული ლიტერატურის დეტალურ დამუშავებას საკვლევ საკითხთან მიმართებაში, დაისახოს ინტერვენციები და შეფასდეს გამოყენებული ინტერვენციების შედეგები.

#### 1.5. კვლევის ამოცანები.

კვლევის ამოცანაა პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

1. რა სირთულეებს და პრობლემებს წარმოქმნის მოსწავლეების არათანაბარი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში?
  - რამდენად განიხილავენ მასწავლებლები კათედრაზე ამ საკითხს?
2. რა ტიპის აქტივობები უნდა იყოს გამოყენებული გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობის ასამაღლებლად?
3. როგორ შეიძლება დავძლიოთ ის პრობლემები, რაც ახლავს მოსწავლეთა დაბალ ჩართულობას?
  - დაეხმარებათ თუ არა პედაგოგებს აქტიური ურთიერთთანამშრომლობა ამ პრობლემის მოგვარებაში?
  - რა ტიპის აქტივობებს მივანიჭებდით ამ შემთხვევაში უპირატესობას?

#### II თავი. პრაქტიკული კვლევის არსი.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნაა მასწავლებლებში პრაქტიკული კვლევების კომპეტენციის უნარის ფლობა. კვლევა არის ახალი ცოდნის ძიება, მიღებული ცოდნის პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა, მისი სისტემატური დოკუმენტირება და გაფორმება კვლევის ანგარიშის, სტატიის, პროექტის სხვა სახით. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მიეკუთვნება გამოყენებით კვლევათა რიცხვს. ეს არის პროფესიული სიტუაციების სისტემური კვლევა, ჩატარებული მასწავლებელთა

მიერ საკუთარი პროფესიონალიზმის დახვეწის, სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების ძიება და პოვნა, ახალი იდეების, ინოვაციების, სტრატეგიების, პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა მკვლევარი მასწავლებელია. პრაქტიკული კვლევა გულისხმობს თანამშრომლობით, კოლექტიურ მიდგომას. თანამშრომლობითი მიდგომა ცვლილებისადმი წინააღმდეგობის გაწევის შემცირების ინსტრუმენტს წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხდება გარკვეული ცვლილებების დანერგვა.

ამჯერად მიმდინარე კვლევა დაგეგმილია საკუთარი ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად, საჭირო უნარ-ჩვევების გასანვითარებლად და რაც მთავარია, სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად.

### III თავი. ლიტერატურა.

#### 3.1 ლიტერატურის მიმოხილვა.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ხორციელდება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგად საკაცობრიო ღირებულების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის, ამასთან ერთად განათლების სისტემა უნვითარებს მოზარდებს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს. მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას, და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

სკოლაში მასწავლებლის ამოცანაა სასწავლო პროცესი სწორედ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად წარმართოს, მაგრამ იმავდროულად მოარგოს ის მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ინტერესებს. ეროვნული სასწავლო გეგმა „ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე,



ცოდნის ხარისხსა და არა რაოდენობაზე”. მასწავლებლების მოვალეობაა ისე წარმართოს საგაკვეთილო პროცესი, რომ მოახდინოს მოსწავლეების მაქსიმალური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. როგორც არ უნდა ხსნიდეს გაკვეთილს მასწავლებელი, თუ მან ვერ შეძლო მოსწავლეების დაინტერესება და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში ის ვერასოდეს ვერ გავა შედეგზე.

პედაგოგიკის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ გაკვეთილის პროცესის წარმართვაში მოსწავლეთა მონაწილეობა შესაძლებელია სხვადასხვა დოზით. ჩართულობის ხარისხი იქედან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რისი მიღწევაა დაგეგმილი გაკვეთილის ფარგლებში ან როგორია მოსწავლის მზაობა.

განვიხილოთ, რას ნიშნავს გაკვეთილის მართვაში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი, შერი არსტეინის თანამონაწილეობის კიბის მაგალითზე (<http://mastsavlebeli.ge/?p=1915>), რომელიც 8 საფეხურისაგან შედგება, ექსპერტები ამ საფეხურებს 3 დონედ განიხილავენ.

- ჩაურთველობის/არამონაწილეობის დონე-მანიპულირება და თერაპია.
- სიმბოლური ჩართულობის / მონაწილეობის დონე-ინფორმირება, კონსულტაციები, მხარდაჭერა.
- სრული ჩართულობის / მონაწილეობის დონე-პარტნიორობა, დელეგირება, კონტროლი.

დემოკრატიული კონცეფციიდან გამომდინარე, ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით ამ კიბის ჰორიზონტალურ ვარიანტს <ინფორმირება - კონსულტაცია - ერთობლივი გადაწყვეტილება - ერთობლივი ქმედება - მხარდაჭერა>.

დავიწყოთ მცირედით. უმცირესი, რაც შეიძლება გააკეთოს მასწავლებელმა გაკვეთილზე, მოსწავლისათვის ინფორმაციის მიწოდებაა იმის შესახებ, რისი გაკეთებაც არის დაგეგმილი გაკვეთილის ფარგლებში.

კონსულტაცია - მასწავლებელი მოსწავლეთა თანამონაწილეობით გამოყოფს საკითხებს, პრობლემებს. ამ ყველაფერს უკავშირებს მოსწავლეთა გამოცდილებას, მოსწავლეებთან ერთად განიხილავს საკონსულტაციო საკითხებს, ახორციელებს კონსულტაციებს და იღებს უკუკავშირს.

ერთობლივი გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ მასწავლებელმა გამოიწვიოს, ჩართოს და წახალისოს მოსწავლეები, რათა მათ ლეგიტიმურად წარმოთქვან თავიანთი

წინადადებები, განიხილონ მუშაობის წესები, შეფასების კრიტერიუმები, რესურსების ხელმისაწვდომობის საკითხები და ასე შემდეგ.

ერთობლივი ქმედება არის მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივი დაგეგმილი ქმედება, დაგეგმილი აქტივობა, რომლის მიზანი შეთანხმებულია მოსწავლეებთან. ეს მიდგომა კოლაბორაციულ პრინციპებს ეფუძნება. აქტივობის დრო, რესურსები, შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია.

მხარდაჭერა ნიშნავს მოსწავლეების მხრივ დამოუკიდებელი ინიციატივის გამოვლენას და მასწავლებლის მხრივ მხარდაჭერას და წახალისებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ საკითხს აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს პედაგოგი თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში, რომ მიაღწიოს შესაბამის შედეგს. მან უნდა წახალისოს მოსწავლეები, რათა მათ თამამად გამოთქვან თავიანთი წინადადებები.

გაკვეთილის პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა აქტუალური საკითხია, მას აფერხებს სხვადასხვა ფაქტორი. მასწავლებლებიც მიმართავენ სხვადასხვა ხერხს აქტიური წახალისებისათვის.

კვლევის ჯგუფისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ბრიტანელი მეცნიერების მიერ შემუშავებული ე.წ. CLEAR მეთოდი ( „პროცესის წარმართვაში მოსწავლეთა მონაწილეობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები” 2014წ <http://mastsavlebeli.ge/?p=1915>), რომელიც თანამონაწილეობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების დიაგნოსტიკასა და მათ დასაძლევად რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას იძლევა. მუშაობაში ეფექტურ და აქტიურ მონაწილეობას განსაზღვრავს 5 ფაქტორი. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თუნდაც ერთი ამ ფაქტორთაგანის არ არსებობისას საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობა და ჩართულობა სრულყოფილი ვერ იქნება, ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გაკვეთილის მართვისას აკონტროლოს აღნიშნული ფაქტორების უზრუნველყოფა გაკვეთილზე მოსწავლეთა წასახალისებლად. როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი, რომ გაკვეთილის პროცესში მოსწავლის მაღალი ჩართულობა უზრუნველყოს? რა თქმა უნდა მან აქტიურად უნდა გამოიყენოს ყველა ეს მეთოდი და სწავლა-სწავლების კომპონენტები, რომ სწავლის პროცესი გახდეს ნაყოფიერი და გავიდეს დასახულ შედეგზე.

CLEAR მეთოდის ფაქტორები:

- Can do-მონაწილეებს შეუძლიათ მონაწილეობა (აქვთ სათანადო რესურსი, ცოდნა, გამოცდილება, უნარები.)
- Like to-მონაწილეებს სურთ მონაწილეობა.
- Enabled to-არსებობს მონაწილეობის მექანიზმი.
- Asked to-ხდება მსმენელთა მობილიზება.
- Respondent to-არსებობს უკუკავშირი (მოსწავლეები ხედავენ მონაწილეობის შედეგს)

სწავლა-სწავლების კომპონენტები:

- წინარე ცოდნა და საჭირო რესურსები ეხმარება მოსწავლეს ჩაერთოს გაკვეთილში.
- მოტივაცია-სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უმნიშვნელოვანესი საფუძველია.
- სწავლების მეთოდები-ის მექანიზმია, რომელშიც ხდება საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.
- მოსწავლეთა ორგანიზება-მოსწავლეთა მობილიზების საშუალებაა.
- მოსწავლეთა შეფასება-ის უკუკავშირია, რომელიც შეიძლება მოსწავლეთა ჩართულობის სტიმულად იქცეს.

მოსწავლის მოტივაციის ზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. მოტივაცია იზრდება, როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და პირიქით იკლებს, როდესაც მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა შეფასებაა; მოტივაცია იზრდება მაშინაც, როდესაც მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნებულია მის საჭიროებაში, ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გააგებინოს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება, დაანახოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლისგარე ცხოვრებას შორის.

გაკვეთილი რთული პროცესია, რომელშიც ერთდროულად დაახლოებით, 20-დან 40-მდე ბავშვი მონაწილეობს, თითოეულ მათგანს აქვს განსხვავებული ინტერესები, შესაძლებლობები, პიროვნული თავისებურებები. მასწავლებლის წინაშე დგას ამოცანა: მან უნდა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის ჩართულობა, შექმნას

შემოქმედებითი აღმოჩენების ხელშემწყობი გარემო, და ამავდროულად თავიდან აიცილოს დისციპლინის დარღვევები. მანანა ბოჭორიშვილი თავის სტატიაში „გაკვეთილის პროცესის წარმართვაში მოსწავლეთა მონაწილეობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები” (<http://mastsavlebeli.ge/?p=1915>) წერს: როგორც არ უნდა ხსნიდეს გაკვეთილს მასწავლებელი, თუ მან ვერ შეძლო მოსწავლეს თავისი როლი შეასრულებინოს, გაკვეთილი უინტერესო იქნება. გაკვეთილის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა აქტუალური საკითხია, მას აფერხებს სხვადასხვა ფაქტორი. მასწავლებლებიც სხვადასხვა ხერხს მიმართავენ მოსწავლეთა აქტიურობის წასახალისებლად. თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვს, ეს გულისხმობს მათ აქტიურ მონაწილეობას არა მხოლოდ განათლების მიღების, არამედ თანატოლთა სწავლების პროცესშიც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დადგმისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეპციის უკეთ გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებასა და დამოკიდებულებათა ჩამოყალიბებაში, რაც თავისთავად გულისხმობს გაკვეთილის პროცესში მათ ჩართულობას. აქედან გამომდინარე მასწავლებელმა მოსწავლეებს თავიანთი უნარ-ჩვევების გამოვლენის მეტი არეალი უნდა მისცეს და აქტივობების დაგეგმისას უნდა გაითვალისწინოს მათი ცოდნის დონე.

თეო ჭყოიძე თავის სტატიაში „სწავლის მოტივაციის შიგა ფაქტორები” (<http://mastsavlebeli.ge/?p=1797>) აღნიშნავს, რომ სწავლის მოტივაციას და შესაბამისად გაკვეთილზე ჩართულობას განაპირობებს :ცნობისმოყვარეობა, თვითრწმენა, დამოკიდებულებები და მოთხოვნები. ავტორი წერს რომ სწავლა-სწავლება ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის ინტერესებისკენ არის მიმართული. მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოსწავლეებს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის მიმართ. ავტორი აღნიშნავს რომ ცნობისმოყვარეობაა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია, რომელიც გონებას მიმართავს პასიურობიდან აქტიურობისაკენ. საჭიროა ბალანსის დაცვა მოსწავლის უკვე არსებულ კოგნიტურ სქემასა და ახალი დავალების სირთულეს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლემ შესაძლოა დაუძლეველად მიიჩნიოს ამოცანა და პასიურ მდგომარეობაში გადავიდეს. იმისთვის, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთოს, ის

დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს დასახული მიზნის მიღწევაში. ამიტომ მასწავლებელმა ისეთი აქტივობები უნდა დაგეგმოს, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ნეგატიური რწმენის პოზიტიურით შეცვლას”.

მკვლევარები ვეთანხმებით ავტორის ამ მოსაზრებას, რადგან ის ადამიანები, რომლებსაც სასკოლო ასაკიდან ექნებათ გამომუშავებული რწმენა საკუთარ შესაძლებლობაში, სავარაუდოდ იქნებიან უფრო წარმატებულნი, ვიდრე ამ უნარს მოკლებულნი. აქედან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოსწავლის მოტივაციის ზრდა მნიშვნელოვანი ამოცანაა მასწავლებლისთვის და რომ ჩავრთოთ მოსწავლეები სასწავლო პროცესში, უნდა დავრწმუნდეთ, თითოეულმა მოსწავლემ რამდენად კარგად იცის, როგორ მიიღოს მონაწილეობა საკლასო აქტივობაში. მოტივაცია იზრდება, როდესაც მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნებულია მის საჭიროებაში. მასწავლებელმა უნდა გააგებინოს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება. აქედან გამომდინარე მოსწავლე უფრო ჩართულია სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეები გამოხატავენ უფრო მეტი ცოდნის შეძენის სურვილს და პოზიტიურ დამოკიდებულებას სკოლასა და სწავლის მიმართ.

მასწავლებელმა სისტემატიურად უნდა დაანახოს მოსწავლეს რა გამოსდის კარგად და რა უნდა გააუმჯობესოს, მისცეს საშუალება გამოასწოროს ხარვეზები. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე მასწავლებელს შორის ნდობის ატმოსფერო მეტად გაიზრდება და კლასშიც ჯანსიდი კლიმატი შეიქმნება.

ასევე გასათვალისწინებელია ფსიქოლოგ აბრაჰამ მასლოუს (მოთხოვნილებათა პირამიდა 1942წ) აზრი ადამიანის მოთხოვნილებათა შესახებ, როგორცაა ბიოლოგიური, უსაფრთხოების, კუთვნილების, სიყვარულის, საკუთარი თავის პატივისცემის და აღიარების. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე და რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას. შემდეგ მან უნდა შეიმუშაოს ადეკვატური სტრატეგიები, რითაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართვასა და მათი მოტივაციის ამაღლებას.

მეორეს მხრივ მასწავლებელმა უნდა იზრუნოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე, რადგან ინტელექტის ყველა ნაირსახეობა ექვემდებარება წვრთნასა და განვითარებას. აუცილებელია, რომ მასწავლებელმა ისეთ სასწავლო აქტივობებს

მიმართოს, რომელიც ბავშვის უნარებს არა მხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა მიმართულებით განავითარებს. ამით თავიდან ავირიდებთ ბავშვთა დისკრიმინაციას და ხელს შევუწყობთ მათ მრავალმხრივ განვითარებას. ამრიგად, ზემოთ აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე მოსწავლეთა ჩართულობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სწავლა-სწავლების პროცესში, რომელიც დამოკიდებულია პედაგოგის პროფესიონალიზმსა და გაკვეთილის მომზადების ხარისხზე.

ლიტერატურა, რომელსაც კვლევის პროცესში გავეცანით, დიდ დახმარებას გაგვიწევს მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში. ასეთია მაგალითად, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული საქმიანობისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი” (<https://edu.aris.ge/news/maswavlbelta-profesiuli-ganvitarebis-sqemis-gzamkvlevi-ii-nawili.html>).

იგი საუკეთესო რესურსია მასწავლებლისთვის, სადაც დეტალურადაა გაწერილი კვლევისთვის საჭირო ეტაპები.

კვლევაში აგრეთვე დაგვეხმარა თ. ზურაბიშვილის წიგნი „თვისობრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში” ([http://old.ucss.ge/geo/publication/publications\\_detail.php?ID=173](http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=173)), სადაც განხილული იყო კვლევის ისეთი თვისობრივი მეთოდები, როგორცაა სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი, რაც გამოვიყენეთ კვლევის დროს.

#### თავი IV. კვლევის დიზაინი.

##### 4.1. საკვლევი საკითხის კითხვები.

კვლევის მთავარი კითხვა იყო, რატომ აღარ ერთვებიან საბაზო საფეხურზე მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში?

საკვლევი პრობლემებიდან გამომდინარე გამოვყავით შემდეგი საკვლევი საკითხები:

- როგორ ვმართავთ ჩართულობის პროცესს?
- როგორ ვიყენებთ მონიტორინგის მექანიზმს, მოსწავლეთა ჩართულობის შესამოწმებლად?
- რა სირთულეებს ვაწყდებით მოსწავლეებში არათანაბარ ჩართულობასთან დაკავშირებით?
- მოტივაციის ასამაღლებლად რა სტრატეგიებს ვიყენებთ, რათა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში?
- რამ შეიძლება გამოიწვიოს მოსწავლის გაკვეთილზე პასიურად ყოფნა?

#### 4.2. კვლევის სამიზნე ჯგუფები.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს:

VII<sup>ა</sup> კლ. მოსწავლეები - 28 მოსწავლე.

VIII<sup>ბ</sup> კლ. მოსწავლეები - 25 მოსწავლე.

VII<sup>ა</sup> - VIII<sup>ბ</sup> კლასების მოსწავლეთა მშობლები - სულ 53.

მასწავლებლები - სულ 12.

განათლების ექსპერტი-1

შევიმუშავეთ კვლევის მეთოდები, შევადგინეთ კვლევის გეგმა.

#### 4.3. კვლევის მეთოდები.

კვლევა, რომ წარმატებით გაგვეხორციელებინა და შედეგი სანდო ყოფილიყო, კვლევის მეთოდებიდან ავირჩიეთ როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდი.

კვლევაში გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები:

**ანკეტირება** - საკვლევი პრობლემის შესასწავლად გადავწყვიტეთ კითხვარების მეშვეობით გამოგვეკითხა, როგორც მოსწავლეები ასევე მოსწავლეთა მშობლები, რადგან პრობლემა ეხებოდა ყველა მათგანის შვილს და თითოეული მათგანის აზრი იყო გასათვალისწინებელი. სრული სურათის დასანახად კითხვები იყო როგორც დახურული, ასევე ღია ტიპის. გამოკითხვა მოხდა ანონიმურად, რადგან პასუხების გაცემის დროს რესპოდენტი გულწრფელია .

**ფოკუს ჯგუფი** - შედგებოდა სკოლის მასწავლებლებისაგან, სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 12 მასწავლებელმა და ასევე განათლების ექსპერტმა მაია ლაპიაშვილმა. ამ მეთოდის გამოყენების მიზანი იყო დაგვედგინა მასწავლებლებისა და ექსპერტის პირადი აზრი მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით.

**უბრალო დაკვირვება** - მოსწავლეების მიმართ გამოყენებული იყო უბრალო დაკვირვების მეთოდი, რათა დაგვეჩვენა რა ტიპის დავალებებში ერთვებოდნენ ხალისით, როდის იწევდა მათი შინაგანი მოტივაცია და როდის უმჯობესდებოდა მათი ჩართულობა. ფოკუსი - მოსწავლეთა ჩართულობაზე დაკვირვება, სიხშირე კვირაში ორჯერ, ხანგრძლივობა - მთელი გაკვეთილი.

#### 4.4. კვლევის ვადები.

კვლევის ვადა ----- 9 თვე

(ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი)

აქტივობა	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
პრობლემის შერჩევა	•								
მკვლევართა ჯგუფის შექმნა	•								
კვლევის სავარაუდო გეგმის შედგენა	•								
ლიტერატურის მიმოხილვა		•	•						
სამიზნე ჯგუფის შერჩევა			•						
კითხვარის შედგენა და დატესტვა			•						
გამოკითხვა, ანკეტირება.				•					
მითითებული შედეგების ანალიზი სავარაუდო ინტერვენციების განხილვა					•				
ინტერვენციების განხორციელება					•	•	•	•	
ინტერვენციების შედეგების ანალიზი								•	
დასკვნების გამოტანა, კვლევის ანგარიშის გაფორმება, კვლევის ანგარიშის გასაზიარებლად მომზადება.								•	
კვლევის ანგარიშის გაზიარება კოლეგებსა და ღირეპქტორისთვის									•



## V თავი. კვლევის შედეგები.

### 5.1. მონაცემების ანალიზი.


თავდაპირველად გავაანალიზეთ არსებული სიტუაცია. ჩავატარეთ მოსწავლეთა ანკეტირება, რომ თვალნათლივ დაგვეჩვენა და შემდგომში გაგვეთვალისწინებია მოსწავლეთა პრობლემები დაბალ ჩართულობასთან დაკავშირებით. ასევე დავგვემეთ მშობელთა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რამდენად იყვნენ მშობლები ინფორმირებული და ჩართული საკუთარი შვილების სასკოლო ცხოვრებაში, რომ შეგვედარებინა დაკვირვების შედეგად მიღებულ მონაცემებს და სწავლება გაგვეხადა მეტად საინტერესო და მოსწავლეთა უნარებზე მორგებული.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო როგორც მოსწავლეებმა ასევე მშობელმა. კითხვარის საშუალებით გვინდოდა გაგვეჩვენა რა სიხშირით იყვნენ ჩართული მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში და რა განაპირობებდა მათ ჩართულობას სასწავლო აქტივობებში.


ქიმიაში შედეგები ასე გადანაწილდა:

VIII<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლეები - სულ 25 მოსწავლე.


#### ხართ თუ არა ჩართული საგაკვეთილო პროცესში?




როგორ აფასებს მასწავლებელი თქვენს ჩართულობას, რომელია  
თქვენთვის წამახალისებელი?




რამდენად ინფორმაციულია შენთვის განმსაზღვრელი (ქულებით)  
შეფასება?




ეკითხები თუ არა მასწავლებელს გაუგებარ საკითხს ხელმეორედ ასახსნელად?



გიჭირთ თუ არა გაკვეთილის მოსმენა და ყურადღებით ყოფნა?



### ასრულებთ თუ არა მასწავლებლის მიერ მოცემულ საშინაო დავალებას?




მოსწავლეებში ჩატარებულმა გამოკითხვამ (ღია და დახურული კითხვების საშუალებით) აჩვენა, რომ მოსწავლეების უმრავლესობა ჩართულია საგაკვეთილო პროცესში, თუმცა ამას არა აქვს სისტემატური ხასიათი. ამის მიზეზად მოსწავლეებს მოჰყავთ შესასწავლი საკითხების სირთულე, სიზარმაცე, უყურადღებობა, ნაკლები დაინტერესება საკითხის მიმართ და მრავალფეროვანი აქტივობების სიმცირე.

ღია კითხვებზე მოსწავლეებმა სხვადასხვა პასუხი გასცეს: მოსაწყენია ერთფეროვანი გაკვეთილები, ვარ გონებრივად გაფანტული და მიჭირს საკუთარი ცოდნის მობილიზება, არ ვარ ჩართული ჩემთვის უინტერესო თემაზე, კითხვებზე დიდხანს ვფიქრობ და ამასობაში ჩემს ამხანაგებს პასუხი უკვე გაცემული აქვთ. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მოსწავლეებში გაკვეთილზე უკმაყოფილებას და უინტერესობას იწვევს ლექციური სახის გაკვეთილები. თუმცა უმრავლესობა მოსწავლეებისა თვლის, რომ აქტიურად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში, ყურადღებით უსმენენ მასწავლებელს და სერიოზულად უდგებიან შესასწავლ საგანს. რაც შეეხება სასწავლო აქტივობებს მოსწავლეებს მოსწონთ


ჯგუფური მუშაობა და თამაშით სწავლება (სახალისო აქტივობები). გამოკითხვამ ცხადყო, რომ მოსწავლეების უმრავლესობა ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ მიცემულ განმავითარებელ შეფასებას, რათა გააუმჯობესოს სწავლის ხარისხი. თუმცა ზოგჯერ მოსწავლეს უჭირს თავისი ცოდნის დონის განსაზღვრა და ფიქრობს, რომ ნიშანი არ არის მის ცოდნასთან შესაბამისობაში, რაც იწვევს დემოტივაციას. დახურული კითხვების გაანალიზებამ პრობლემები თითქმის არ აჩვენა, თუმცა ეს შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო მოსწავლეთა არაგულწრფელობით.

კვლევის შემდეგ ეტაპზე ანკეტირება ჩავატარეთ მშობლებთან, რამაც მოგვცა საშუალება გაგვეგო მშობლების პოზიცია, თუ რამდენად იცნობდნენ საკუთარი შვილების სასკოლო და საკლასო აქტივობებს და რა სიხშირით ღებულობდნენ მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში.


რა სიხშირით მიდიხართ სკოლაში შვილის შედეგების გასაცნობად?




ინტერესდებით თუ არა შვილის სასკოლო ცხოვრებით?




იცნობთ თუ არა შვილის მასწავლებლებს?




გამოკითხვით თუ არა შვილს გაკვეთილებს?




რა დროს ანდომებს თქვენი შვილი გაკვეთილების მომზადებას?



ეხმარებით თუ არა გაკვეთილის მომზადებაში?




ჩართული არის თუ არა თქვენი შვილი  
სასკოლო და საკლასო აქტივობებში?






მონაწილეობთ თუ არა მასწავლებლებსა და მშობლებთან ერთად სასკოლო ცხოვრებაში?




კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი შვილის სწავლით?



რამდენად გულახდილია თქვენი შვილი თქვენთან, გიზიარებთ

## თუ არა თავის აზრებს სწავლა-სწავლების შესახებ?



გამოკითხვამ აჩვენა, რომ მშობელთა უმრავლესობა ინტერესდება საკუთარი შვილის სასკოლო ცხოვრებით, აკონტროლებს შვილის გაკვეთილის მომზადების პროცესს და იცის რა დროს ანდომებს მას. მშობლების ნაწილი ჯერ კიდევ გამოიკითხავს გაკვეთილებს, მაგრამ ნაწილი მშობლებისა დროის უქონლობისა და სოციალური პრობლემების გამო ვერ ახერხებს სისტემატიურად გაუწიოს კონტროლი შვილის სწავლა-სწავლების პროცესს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს სხვა მშობლებთან ერთად სასკოლო ცხოვრებაში.

### ფოკუს ჯგუფის ანალიზი.

კვლევის წარმატებით ჩატარების მიზნით გამოკითხვა ჩავატარეთ საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო კათედრაზე. სკოლის უფროსმა მასწავლებლებმა კითხვებზე თუ როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რა სირთულეებია არათანაბარ ჩართულობასთან დაკავშირებით, როგორ უნდა მოხდეს მათი დაძლევა და რომელ შეფასების ინსტრუმენტებს იყენებენ, მასწავლებლები პასუხობენ:

- ჩართულობის მონიტორინგის ერთ-ერთი მექანიზმია დაკვირვების დღიურის წარმოება, სააზროვნო ლოგიკური კითხვა-პასუხი, ამ მეთოდით ვაღგენ

მოსწავლეთა საკითხის ათვისების დონეს, თუმცა მათი აზრით, ამ უკანასკნელის წარმოება გაკვეთილზე მთელ რიგ სირთულესთან არის დაკავშირებული რადგან მისი გამოყენება რთულია, დროც მიაქვს და კონცენტრაციაც იკარგება, ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ამ მეთოდის გამოყენება.

- ნაკლებია ჩართულობა გაკვეთილზე, თუ დაბალია მოტივაცია, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაა შესასწავლი საგნისადმი. ასევე ჩართულობაზე მოქმედებს შესასწავლი თემატიკის უინტერესობა, მრავალრიცხოვანი კლასები, ერთფეროვანი გარემო და რესურსების გამოყენების ნაკლებობა.
- გარკვეული მოსწავლეების ჩართვა საგაკვეთილო პროცესში რთულია, ამისათვის ვადგენთ მოსწავლეების ინტერესის სფეროს, შევურჩევ დავალებებს ინტერესის შესაბამისად. ვიყენებ სხვადასხვა აქტივობებს. ჯგუფური მუშაობის ჩატარებისას მნიშვნელოვანია ფუნქციების სწორად გადანაწილება, რომ არ მოხდეს დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეების ჩაურთველობა. ასეთი მიდგომა, მასწავლებლების აზრით, ხელს უწყობს პასიური ან მორცხვი მოსწავლეების სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად ჩართვას.
- მასწავლებელთა უმრავლესობამ ასევე აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში უწყობს ხელს ჯგუფური მუშაობა, რაც ახალისებს, უფრო საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის სასწავლო პროცესს. ბავშვებს აქვთ უფრო მეტი კომუნიკაცია ერთმანეთთან და დაინტერესება შესასწავლი თემის მიმართ, რაც უმეტეს შემთხვევაში მასწავლებელს ეხმარება დასახული მიზნის მიღწევაში.
- ჩართულობის შეფასებისთვის მასწავლებლები წერენ, რომ იყენებენ: თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, განმავითარებელ შეფასებას, რადგან განმსაზღვრელ შეფასებას თან ახლავს რამდენიმე უარყოფითი შედეგი. ქულა დაბალი აკადემიურად მოსწრების მოსწავლისათვის წარუმატებლობის კიდევ ერთი დადასტურებაა, რაც თრგუნავს მას, უკარგავს მოტივაციას და ხდის პასიურს საგაკვეთილო პროცესში.
- ასევე გასათვალისწინებელია განათლების ექსპერტის ქალბატონ მაია ლაპიაშვილის მოსაზრებები მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებით საგაკვეთილო პროცესში. კითხვაზე თუ როგორ შეიძლება მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა საგაკვეთილო

პროცესში ქალბატონი მაია შემდეგნაირად პასუხობს: „პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე, აკადემიური მოსწრების მხრივ მოსწავლეებს ვყოფთ სუსტ, საშუალო და ძლიერ მოსწავლეებად. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებისა და საჭიროებების გათვალისწინება შეკითხვების მომზადებისა და დასმის დროს. ამიტომ, ვთვლი, რომ სხვადასხვა შინაარსიის და სირთულის კითხვის დასმა ჩაითვლება მოსწავლეზე ორიენტირებულად და გაზრდის მათ ჩართულობას. გასათვალისწინებელია, რომ არ ვიყოთ მიჯაჭვული ამ სტრატეგიაზე შეიძლება დავსვათ კითხვა მთელი კლასისთვის, ხოლო ძლიერი მოსწავლეებისათვის გვქონდეს მომზადებული დამატებითი კითხვა, ან სუსტ მოსწავლეებს გავუზარდოთ დრო კითხვაზე პასუხის მოსაფიქრებლად /მივცეთ დამატებითი მასალა რითაც გაუადვილებთ პასუხის დასაბუთებას/ კითხვების ჩამონათვალიდან შევარჩევინოთ სასურველი კითხვა და სხვა.“

კითხვაზე, თუ რა ტიპის აქტივობებს გვირჩევდით მოსწავლეთა დასაინტერესებლად ნაკლები ჩართულობისას შემდეგი პასუხი მივიღეთ: „მრავალფეროვანი რესურსი, კონკრეტული სასწავლო გარემოს (შემეცნებითი თამაშები, ვიქტორინები) სიმულაციები, თეორილი მასალის ცხრილების, დიაგრამების ან ნახატების სახით წარდგენა, მარტივი იმიტირებული სიტუაციების (როლური თამაშების) წარმოდგენა, კონფერენციის მოწყობა, მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდაში. ასევე მოტივაცია და ჩართულობა იზრდება, თუ მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში კვლევაზე, პრობლემაზე ან პროექტზე“.

ხოლო კითხვაზე, თუ რა ტიპის აქტივობებს შემოგვთავაზებდით ინტრაპერსონალური უნარის მქონე მოსწავლეების გაკვეთილზე ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ქალბატონმა მაია შემდეგნაირად გვიპასუხა: „ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება. თუ მოსწავლე სწავლობს მარტო, მასწავლებელმა უნდა მისცეს მას ამის თავისუფლება, თუმცა სისტემატიურად არა. მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რათა ყველა ტიპის მოსწავლე თანაბრად იყოს ჩართული და შეძლოს საკუთარი ცოდნის, უნარის და შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარება. საუკეთესო სტრატეგიაა გონებრივი იერიში, რომლის დროსაც დავალების შესრულების პროცესში ყველა მოსწავლე თანაბრადაა ჩართული, ინარჩუნებს

გარკვეულ ავტონომიურობას და თავად იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ მოსაზრებებზე/ნამუშევარზე. შედეგი კი გუნდურია.

## 5.2. ძირითადი მიგნებები.

კვლევის მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- მასწავლებელი არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე და აქტიურად უნდა იყენებდეს მრავალფეროვან სასწავლო რესურსს მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდისთვის.
- იმის გამო რომ სახელმძღვანელო უინტერესოა მოსწავლეებისთვის, ხოლო სკოლაში არ არის კეთილმოწყობილი ლაბორატორიები და საგნობრივი კაბინეტები, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სწავლების ეფექტური სტრატეგიები მოსწავლეთა ჩართულობისა და აკადემიური მოსწრების ამაღლებისთვის.
- მასწავლებელი ხშირად ვერ ახერხებს დროის, მრავალრიცხოვანი ჯგუფების და რესურსების სიმცირის გამო, მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი საჭიროებაზე მორგებული რესურსების შეთავაზებას.
- მშობლები გარკვეული მიზეზების გამო ნაკლებად არიან ჩართული შვილების სწავლების პროცესში, ამიტომ საჭიროა მშობლის მეტი ინფორმირება და საგაკვეთილო პროცესში ჩართვა.

## 5.3. ინტერვენციები.

მონაცემთა ანალიზის განხილვის შემდეგ დაიგეგმა შემდგომი ინტერვენციები:

- გასაქანი მივცეთ „კეთებით“ სწავლას, პრაქტიკულ აქტივობებს (ლაბორატორიული ცდები, საშინაო ქიმიური ცდები, სახალისო ექსპერიმენტი).
- დავწეროთ „დიფერენციული სწავლების“ მეთოდების გამოყენება. გამოვიყენოთ გრაფიკული ორგანიზატორის ფორმები.
- ხელი შევუწყოთ გასვლით გაკვეთილებს სამეცნიერო მუზეუმებში, ლაბორატორიებში, კვლევით ცენტრში, ილიაუნის ქიმიურ პიკნიკზე.

- გამოვიყენოთ სახალისო ინეტრნეტ რესურსები (ჯგუფური თამაშებისა და ვიქტორინების სახით).
- გამოვიყენოთ თანამშრომლობითი სწავლის სტრატეგიები წყვილებში და პატარა ჯგუფებში.

#### 5.4. ინტერვენციების აღწერა.

1. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანი იმახსოვრებს წაკითხულის 10%-ს, მოსმენილის 20%-ს, ნანახის 30%-ს, ერთდროულად ნანახისა და მოსმენილის 50%-ს, ხოლო საკუთარი ხელით გაკეთებულის 90%-ს. აქედან გამომდინარე ვთვლი რომ „კეთებით“ სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლეები საკუთარი ცოდნის წარმოსახვის, ინტელექტისა და შემოქმედებითობის ნაყოფს ხედავენ და აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში. „კეთებით სწავლების“ ანუ პრაქტიკის მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეებს ვაწოდებდი ზუსტ ინფორმაციას ექსპერიმენტის ან სიმულაციისათვის და არა თეორიულ ინფორმაციას.ექსპერიმენტი იყო მარტივი,უსაფრთხო, უკავშირდებოდა სასწავლო მასალას და მოსწავლეებს თავისი საბაზო ცოდნის საფუძველზე უნდა შეეძლოთ მისი ახსნა,სასწავლო მიზანთან დაკავშირება და სხვა სიტუაციაში გამოყენება. მოსწავლეები ხალისით ერთვებოდნენ აქტივობაში,რადგან ცდა თამაშის ელემენტებსაც შეიცავდა.ისინი ხედავდნენ თავისი შრომის ნაყოფს და მატულობდა მათი როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაცია.

განვიხილავ ჩემს მიერ გამოყენებული ერთ-ერთი სახალისო ექსპერიმენტის მაგალითს.

1. წყლის „გარდაქცევა“ ღვინოდ და პირიქით.

მიზანი: ინდიკატორის მოქმედების მექანიზმის გააზრება.

თემა: ფუძურ- მჟავური რეაქციები.

ექსპერიმენტის აღწერა: სადემონსტრაციო მაგიდაზე ვათავსებ სამ დანომრილ სინჯარას.

N1 სინჯარაში ვასხამ გამოხდილ წყალს და ვამატებ 1-2 წვეთ ფენოლტალინის ხსნარს.

N2 სინჯარაში ვასხამ ტუტის (NaOH-ის) უფერო განზავებულ ხსნარს.

N3 სინჯარაში მჟავას (HCl -ის) განზავებულ ხსნარს.

(ხსნარების მომზადებაში მოსწავლე მონაწილეობას არ იღებს.)

შემდეგ ვთხოვ რომელიმე მოსწავლეს მოვიდეს სადემონსტრაციო მაგიდასთან და ჩემი ინსტრუქციის შესაბამისად ჩაატაროს ცდა:

**ცდა 1.** №2 სინჯარიდან №1 სინჯარაში ვასხამთ მცირე რაოდენობით ტუტის ხსნარს. ხსნარი ჟოლოსფერი გახდება ანუ „წყალი ღვინოდ იქცევა“.

**ცდა 2.** იმავე №1 სინჯარაში მცირე რაოდენობით №3 სინჯარიდან ვასხამთ მჟავას ხსნარს, სანამ ხსნარი არ გაუფერულდება ანუ „ღვინო ისევ წყლად არ გარდაიქმნება“. შემდეგ მაგიდასთან გამოვიძახებ სხვა მოსწავლეს და ვთხოვ იგივე თანმიმდევრობით გაიმეოროს ცდა. შედეგი იგივე მიიღება.

შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვ დაგეგმონ კვლევა, როგორ ჩაატარებენ იმავე ტიპის ცდებს ინდიკატორ ლაკმუსის გამოყენებით. თან ვუხსნი მათ, რომ ლაკმუსი ბუნებრივი საღებავი ნივთიერებაა, რომელიც წყალში იისფერია, მჟავაში წითელი, ტუტეში-ლურჯი; ფართოდ გამოიყენება და ყველაზე ცნობილია ფუძურ-მჟავურ ინდიკატორებში. მოსწავლეები მივლენ იმ დასკვნამდე, რომ მსგავსი ეფექტის მისაღებად (წყლის ღვინოდ გადასაქცევად) ლაკმუსი არ გამოდგება, მაგრამ მჟავა და ტუტის გამოსაცნობად კარგია.

ასე, თანდათანობით, სახალისო ცდების ჩატარებისას მოსწავლეთა ცოდნა ფართოვდება, მათი ინტერესი და ჩართულობაც იზრდება.

2. რადგან საბაზო საფეხურზე იზრდება, როგორც შესასწავლი საგნების რაოდენობა, მოცულობა ასევე მათი სირთულე ყველაზე კარგი მეთოდია ინფორმაციის გრაფიკული სტრუქტურირება, რაც გვაძლევს საშუალებას მოსწავლეს თვალსაჩინოდ წარუდგინოს სასწავლო მასალა ცალკეული თემის მიხედვით და ამავდროულად შევამციროს ინფორმაციის მოცულობა მხოლოდ მცნებებისა და მათ შორის ლოგიკური კავშირების გადმოცემის გზით. სწორედ გრაფიკული ორგანიზატორის ერთ-ერთი ფორმაა „ფიშბოუნი“ და საკვანძო საკითხების რუკა, რომლის მეშვეობით მოსწავლეებს შეუძლიათ შესასწავლი მასალიდან გამოყოფნა საკვანძო საკითხები და მისი დახმარებით გაანალიზონ სასწავლო მასალა. რაც უადვილებს სწავლის პროცესს და ზრდის მათ ჩართულობას. ეს მეთოდი აქტიურად იქნა გამოყენებული გაკვეთილზე ახალი მასალის შესწავლის დროს. მაგალითად, არაორგანულ ნაერთთა ძირითადი

კლასებისა(ოქსიდები, მჟავები, ფუძეები და მარილები) დახასიათების დროს. ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებმა შეძლეს ახალი ინფორმაციის ორგანიზება, განუვითარდათ მეტაკოგნიტიური უნარები, უკეთ აღიქვეს ცნებები, მარტივად გაიხსენეს და გამოიყენეს კონკრეტული ინფორმაცია. გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენებით გაკვეთილი გახდა უფრო ინტერაქტიური, რამაც გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია და გაკვეთილში ჩართულობის ხარისხი.

3. სწავლა რომ საინტერესო გამხდარიყო დავგეგმე გასვლითი გაკვეთილები კვლევით ლაბორატორიაში. ასეთი გაკვეთილები საშუალებას იძლევა, ცხადი გახადოს შესასწავლი მასალის მნიშვნელობა და პრაქტიკულობა . რთული მასალა მივაწოდოთ მარტივი თვალსაჩინოების გამოყენებით, ავამაღლოთ მოსწავლეთა ემოციური და ინტელექტუალური დონე. ასეთი გაკვეთილები სახალისოა, სტიმულის მომცემია, იწვევს არა მარტო ჩართულობის ზრდას, სწავლების მოტივაციის ხელშეწყობას, არამედ სწავლის ხარისხის ზრდას.

ერთ-ერთი ასეთი გასვლითი გაკვეთილი იყო გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ დაგეგმილ აქტივობაზე, რომელიც 2019 წლის 2 მაისს ქუთაისში „გვირილობის“ დღესასწაულზე ცენტრალურ სკვერში სპეციალურ კუთხეში მოეწყო, სადაც განთავსებული იყო წყლის ხარისხის კვლევის მობილური ლაბორატორია, შემეცნებითი კუთხე ბავშვებისთვის. ბავშვებს შესაძლებლობა ქონდათ ადგილზე გაცნობოდნენ წყლის ხარისხის კონტროლის პროცესს. წყლის სინჯების კვლევა, როგორც ქიმიურ, ასევე მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებზე მათი თანდასწრებით მიმდინარეობდა, რამაც გამოიწვია მოსწავლეების დიდი ინტერესი, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული, ყურადღებით უსმენდნენ და ღებულობდნენ მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავ პასუხებს.

4. სწავლა მოსაწყენი რომ არ გამხდარიყო, სასწავლო პროცესში ჩავრთე თამაშები(LearningApps.org) და ვიქტორინები, სახალისო ჯგუფური დავალებები. ეს არის ჯგუფური თამაშები, რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რადგან არ ვირჩევთ, ე. წ. „ჯგუფის ლიდერებს“, კითხვის დასმა და პასუხი შეუძლია ყველას. ასეთ



გაკვეთილზე დრო სწრაფად გადის, თამაშებს აქვს შეჯიბრის ხასიათი და აქედან გამომდინარე მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაციაც მაღალია.

5. ჩართულობა თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესში მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვს. ეს გულისხმობს მათ აქტიურ მონაწილეობას არა მხოლოდ განათლების მიღების, არამედ თანატოლთა სწავლების პროცესშიც. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, მზა ცოდნის გადაცემა ყოველთვის არ იწვევს მოსწავლეებში მოტივაციას, ვერ აღვივებს მათ ჩართულობას. ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი მეთოდია თანამშრომლობითი სწავლება, რომლის დროსაც ჯგუფი გარდაიქმნება შემსწავლელ ერთობად, რომლის წევრებიც ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს და გამოაქვთ დასკვნები. ამ დროს უნდა სუფევდეს ემპათიური სასწავლო გარემო, სადაც პატივისცემით ეკიდებიან განსხვავებულ ხედვას და უნდა იყოს გამოყენებული ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ითვალისწინებს ჯგუფის წევრების, როგორც სუსტ ასევე ძლიერ მხარეებს. ამ მეთოდის გამოყენებამ დაგვანახა მისი მნიშვნელობა დაბალი მოსწრების მოსწავლეების ჩართულობის ამაღლებაში. ასეთი შინაარსის გაკვეთილები ჩავატარე რამდენიმე თვის მანძილზე გარკვეული ინტერვალებით. ვაწარმოებდი დღიურს, რის საფუძველზეც შევძელი გამომეტანა დასკვნა ჩემ მიერ დაგეგმილი ინტერვენციების ეფექტიანობის შესახებ.

## თავი VI. ინტერვენციების შეფასება.

### 6.1. ინტერვენციების შედეგები და მათი ანალიზი.


- სწორადაა თუ არა შემუშავებული პრობლემის გადაჭრის გზები?
- გამოყენებული აქტივობებით ამაღლდა თუ არა მოსწავლეთა ჩართულობა?
- შეიძლება თუ არა დაგეგმილი აქტივობებით მოსწავლეთა ჩართულობა გახდეს უფრო ეფექტური?

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ კიდევ ერთხელ გადავხედე შეგროვებულ მასალას და რომ გამომეტანა დასკვნა რამდენად გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში ჩავატარე მოსწავლეების მეორადი გამოკითხვა.


ქიმიაში გამოკითხვის შედეგები ასე გადანაწილდა:

VIII<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლეები - სულ 25 მოსწავლე.


რამდენად მოგწონთ მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები?




რა ტიპის აქტივობებში ხართ ჩართული?



### როგორი აქტივობებით დატვირთული გაკვეთილი მოგწონთ?



### მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით შეიცვალა თუ არა თქვენი ინტერესი შესასწავლი საგნის მიმართ?



ინტევენციების განხორციელებამ მოსწავლეებისთვის დადებითი შედეგი გამოიღო. დაკვირვებამ აჩვენა, რომ როგორც მაღალი ასევე დაბალი მოსწრების მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლეები განსაკუთრებით ხალისით მუშაობდნენ დიფერენცირებულ ჯგუფებში, როცა დავალება მათთვის დაძლევადი და მათი ცოდნის შესაბამისი იყო. მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა კიდევ უფრო შეიმჩნეოდა, როცა გაკვეთილებზე ვიყენებდით ექსპერიმენტს, ისტ-ს, შემეცნებით თამაშებს და სხვა მათთვის საინტერესო სასწავლო რესურსს. კვლევის მიმდინარეობისას სისტემატიურად ვიყენებდი თანამშრომლობითი სწავლების მეთოდებს, მოსწავლეები ხალისით ერთვებოდნენ სასწავლო პროცესში და რაც მთავარია დავალებას ძირითადად წარმატებით ართმევდნენ თავს. გამოყენებულმა მრავალფეროვანმა აქტივობებმა გააღვივა მოსწავლეთა დაინტერესება შესასწავლი საგნის მიმართ, რამაც გამოიწვია მათი ცოდნის დონის გაუმჯობესება.

მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ აჩვენა, რომ გაკვეთილზე თითოეული მოსწავლის ჩართულობას და მოტივაციას განსაზღვრავს მრავალფეროვანი და განსხვავებული აქტივობების გამოყენება. ხოლო სწავლების აქტუალური საკითხების კათედრაზე განხილვა იძლევა მრავალი პრობლემის გადაჭრის საშუალებას. აქტიური თანამშრომლობა მშობლებთან და გამოკითხვის მონაცემთა ანალიზი მაძლევს საშუალებას გავიგო როგორ შეუძლია მოსწავლეს საკუთარი აზრის ჩამოყალიბება, როგორია მათი კრიტიკული აზროვნება და რა ტიპის გაკვეთილზე შეიძლება იყვნენ ისინი ჩართული.

საერთო ჯამში, მიმაჩნია, რომ კვლევამ ძირითადად მიზანს მიაღწია, რადგან მისი განხორციელების შედეგად ამაღლდა ჩემი როგორც მასწავლებლის პროფესიული დონე, დახელოვნდნენ მოსწავლეებიც, ჩემთან ერთად ისინი ახდენდნენ ცოდნის კონსტრუირებას და თამამად ერთვებოდნენ სასწავლო პროცესში.

## თავი VII. რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები.

### 7.1. რეკომენდაციები.

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მაღალ შედეგებზე გასვლისათვის მასწავლებელმა მუდმივად უნდა ცვალოს გაკვეთილის ჩატარების სტრატეგიები, რათა მოსწავლეებისათვის ასეთი ტიპის გაკვეთილები არ გახდეს მოსაწყენი და არ

დაეკარგოთ მოტივაცია. გაკვეთილზე აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის ვიზუალური თვალსაჩინოება. მასწავლებელმა ხშირად უნდა მიმართოს კეთებით სწავლებას, რაც განუვითარებს მოსწავლეებს ცოდნის კონსტრუირების უნარს და მისცემს საშუალებას მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში, რაც არის სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. კვლევის შედეგად გამოვყოფდით შემდეგ რეკომენდაციებს:

- ვითანამშრომლოთ მოსწავლეებთან, რათა უფრო აქტიურად იყვნენ ჩართული სასწავლო პროცესში.
- გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა მზაობა და ასაკობრივი თავისებურებები.
- დავანახოთ მოსწავლეებს სწავლის პროცესი პოზიტიური კუთხით, ავუხსნათ, რომ მიღებული ცოდნა დაეხმარება მათ XXI-ე საუკუნის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.
- კარგი იქნება, თუ მოეწყო საგნობრივი კაბინეტები ყველა საჭირო ხელსაწყოებითა და ტექნიკით, რომ შესაძლებელი გახდეს ტექნოლოგიებითა და მრავალფეროვანი ექსპერომენტებით გამდიდრებული გაკვეთილების ჩატარება.
- რადგან ჯგუფებში განსხვავებული ინტერესების, შესაძლებლობების და ინტელექტის მოსწავლეები გვყავს მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს თითოეული მოსწავლის მიდრეკილება სხვადასხვა ინტელექტისადმი, განახორციელოს ისეთი აქტივობები, რაც მისცემს მოსწავლეებს საშუალებას სრულად გამოხატონ და მაქსიმალურად განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები.

## 7.2. კვლევის ნაკლოვანებები.

კვლევის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს:

- ზოგიერთი მოსწავლისა და მშობლის უარი კვლევაში მონაწილეობაზე.
- ასევე ვთვლით რომ მეტი კვლევის მეთოდის გამოყენება მრავალფეროვანს გახდიდა ჩვენს ნამუშევარს.

- ასევე კარგი იქნებოდა ინტერვენციების შემდეგ მოგვეხდინა მშობელთა ხელმეორედ გამოკითხვა და მათი აზრის გაგება განხორციელებულ ცვლილებებზე.
- არასრულფასოვნად მოწყობილი საგნობრვი კაბინეტები, რაც ხელს უშლის მასწავლებელს ჩაატაროს ყველა საჭირო ექსპერიმენტი და ლაბორატორიული სამუშაო სწავლის პროცესში.

### VIII თავი. დასკვნა.

პრაქტიკის კვლევის პროცესში მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ მოსწავლეთა ჩართულობის გასაუმჯობესებლად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად, საჭიროა მასწავლებელმა:

- გამოიყენოს მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობები ეფექტური სტრატეგიებით, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების შესაბამისად შედეგებზე გასვლას.
- საბუნებისმეტყველო (ქიმია) და საზოგადოებრივი (გეოგრაფია) საგნების სწავლების პროცესში ხშირად გამოიყენოს ცდები, ექსპერიმენტი, პრაქტიკული სამუშაოები, პრეზენტაციები.
- მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმოს აქტვობები.
- ხშირად გამოიყენოს ტექნოლოგიები სასწავლო პროცესში.
- ჩაატაროს პრაქტიკის კვლევა, რომელიც მნიშვნელოვნად აამაღლებს სწავლა-სწავლების ხარისხს.
- მუდმივად იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე და ამით უფრო ეფექტური გახადოს სწავლა-სწავლების პროცესი.

და ბოლოს ლიტერატურის ანალიზისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია საკითხების შემდგენიანი შეჯამება: მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს მოსწავლის განვითარების დონე, უზრუნველყოს მოსწავლეების თანაბარი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და ხელი შეუწყოს თითოეული მოსწავლის წარმატებას.

## ბიბლიოგრაფია .

1. აბრაჰამ მასლოუ „მოთხოვნილებათა პირამიდა“ AURA.GE 2010 წ.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.2009წ.
3. თეო ჭყოიძე „სწავლის მოტივაციის შიგა ფაქტორები“. maswavlebeli.ge. 2012წ.
4. თინათინ ზურაბიშვილი „თვისობრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“. თბილისი 2006 წ.
5. მანანა ბოჭორიშვილი „გაკვეთილის პროცესის წარმართვაში მოსწავლეთა მონაწილეობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები“. maswavlebeli.ge.2014წ.
6. „მასწავლებლთა პროფესიული განვითარების სქემის გზამკვლევი“ ნაწ. II.2016წ.

## დანართი N 1. კითხვარი მოსწავლეებისათვის.

მოგესალმებით

სსიპ ქ. ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში ხორციელდება კვლევა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებით. თქვენი როგორც მოსწავლის მოსაზრებები ჩვენთვის ფასეულია. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია. გთხოვთ იყოთ გულწრფელი.

1. ხართ თუ არა ჩართული საგაკვეთილო პროცესში?  
ა) ყოველთვის    ბ) ხანდახან    გ) არასდროს.
2. როგორ აფასებთ მასწავლებელი გაკვეთილზე თქვენს ჩართულობას, რომელია თქვენთვის წამახალისებელი?  
ა) ქულით    ბ) სიტყვიერად
3. რამდენად ინფორმაციულია შენთვის განმსაზღვრელი (ქულით) შეფასება?  
ა) გავიგებ ინფორმაციას ჩემი სწავლის შესახებ  
ბ) ბუნდოვანია    გ) არაინფორმაციულია.
4. ეკითხები თუ არა მასწავლებელს გაუგებარ საკითხს ხელმეორედ ასახსნელად?  
ა) ყოველთვის    ბ) ხანდახან    გ) არასდროს.
5. გიჭირს თუ არა გაკვეთილზე მოსმენა და ყურადღებით ყოფნა?  
ა) ყოველთვის    ბ) ხანდახან    გ) არასდროს
6. ასრულებთ თუ არა მასწავლებლის მიერ მოცემულ საშინაო დავალებებს?  
ა) ყოველთვის    ბ) ხანდახან    გ) არასდროს.
7. როგორ სასწავლო აქტივობებში მიიღებდი აქტიურ მონაწილეობას?  
.....
8. შენი აზრით რა არის საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის ჩართულობის მიზეზი?  
.....
9. რა გიშლით ხელს სწავლაში?  
.....
10. რამდენად ითვალისწინებ მასწავლებლის მიერ მოცემულ განმავითარებელ შეფასებას?  
.....

გმადლობთ გულახდილობისთვის



## დანართი N 2. კითხვები მშობლებისთვის

### მოგესალმებით

სსიპ ქ.ქუთაისი N14 საჯარო სკოლაში მასწავლებლების მიერ ტარდება კვლევა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით. თქვენი, როგორც მშობლის აზრი ძალიან მნიშვნელოვანია, რაც დაგვეხმარება თქვენი შვილების ინტერესებისა და უნარების გააქტიურება-გამოვლენაში. ინფორმაცია ანონიმურია.

1. რა სიხშირით დადიხართ სკოლაში შვილის შედეგების გასაცნობად?  
ა) არასოდეს ბ) ხანდახან გ) სისტემატურად.
2. ინტერესდებით თუ არა შვილის სასკოლო ცხოვრებით?  
ა) კი ბ) არა.
3. იცნობთ თუ არა შვილის მასწავლებლებს?  
ა) კი ბ) არა.
4. გამოკითხავთ თუ არა შვილს გაკვეთილებს?  
ა) სისტემატურად ბ) ხანდახან გ) არასოდეს.
5. რა დროს ანდომებს თქვენი შვილი გაკვეთილების მომზადებას?  
ა) 1 სთ ბ) 2 სთ გ) 2 სთ 30 წთ დ) 3 სთ.
6. ეხმარებით თუ არა გაკვეთილის მომზადებაში?  
ა) სისტემატურად ბ) ხანდახან გ) არასოდეს.
7. ჩართული არის თუ არა თქვენი შვილი სასკოლო და საკლასო აქტივობებში?  
ა) კი ბ) არა.
8. მონაწილეობთ თუ არა მასწავლებლებსა და მშობლებთან ერთად სასკოლო ცხოვრებაში?  
ა) კი ბ) არა.
9. კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი შვილის სწავლით?  
ა) კი ბ) არა.
10. რამდენად გულახდილია შვილი თქვენთან, გიზიარებთ თუ არა თავის აზრებს სწავლა-სწავლების შესახებ?  
ა) სრულად ბ) მეტნაკლებად გ) არა.

გმადლობთ მონაწილეობისათვის!

### დანართი N 3. კითხვები მასწავლებლებისთვის.

მოგესალებით

სსიპ ქ.ქუთაისის N 14 საჯარო სკოლაში ხორციელდება კვლევა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებით. თქვენი მოსაზრებები ჩვენთვის ფასეულია. გთხოვთ, იყოთ გულწრფელი.

1. როგორია თქვენი მონიტორინგის მექანიზმი, მოსწავლეთა ჩართულობის შესამოწმებლად და რამდენად ეფექტურია თქვენს მიერ გამოყენებული მექანიზმი?  
.....
2. რა სირთულეებს აწყდებით საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა არათანაბარ ჩართულობასთან დაკავშირებით?  
.....
3. როგორ ხდება მათი დაძლევა?  
.....
4. ყოველთვის აღწევთ თუ არა დასახულ მიზანს, თქვენს მიერ შემუშავებული მეთოდებით?  
.....
5. შეფასების რა ინსტრუმენტებს იყენებთ მოსწავლეების ჩართულობისთვის და რატომ ანიჭებთ უპირატესობას თქვენს მიერ გამოყენებულ ინსტრუმენტებს?  
.....
6. გაგვიზიარეთ მოტივაციის ასამღლებლად განხორციელებული სტრატეგია. რათა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში.  
.....
7. მოიყვანეთ მაგალითები, რამაც შეძლება გამოიწვიოს მოსწავლის გაკვეთილზე პასიურად ყოფნა.  
.....
8. როგორ ახორციელებთ რთული ქცევის კორექციას?  
.....

გმადლობთ მონაწილეობისთვის !

## დანართი N4 ექსპერტთან - ინტერვიუ.

1. სხვადასხვა აკადემიური მოსწრების მოსწავლეებისათვის გვიწევს სხვადასხვა დონის შეკითხვების დასმა (ცოდნის, ანალიზის, სინთეზის). ითვლება თუ არა მსგავსი ქმედება გაკვეთილზე მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობად, და რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა თანაბარი ჩართულობის უზრუნველსაყოფად?

.....  
.....

2. როდესაც საკითხი ითვალისწინებს პრაქტიკულ მუშაობას მოსწავლეები დიდი ხალისითა და ინტერესით აასრულებენ დავალებებს. თუმცა არის ისეთი საკითხები რომლებიც არ მოითხოვს პრაქტიკულ მუშაობას. ამ ტიპის თეორიული მასალის სწავლებისას გაცილებით დაბალია მოსწავლეთა ჩართულობა და ინტერესი. რა ტიპის აქტივობებს გვირჩევდით ასეთი თემების მოსწავლეთა დაინტერესებისათვის?

.....  
.....

3. როგორც ცნობილია არსებობენ დასწავლის სხვადასხვა უნარის მოსწავლეები. ზოგ მათგანს ურჩევნია დამოუკიდებლად შეასრულოს დავალებები და თავად აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ ნამუშევარზე. ამ ტიპის მოსწავლეთა ჩართვა ძალიან ძნელია ჯგუფურ მუშაობაში. რა ტიპის აქტივობებს შემოგვთავაზებდით ინტრაპერსონალური უნარის მქონე მოსწავლეების გაკვეთილზე ჩართულობის უზრუნველსაყოფად?

.....  
.....

## დანართი N 5. კითხვები მოსწავლეების მეორადი ანკეტირებისთვის.

მოგესალმებით

სსიპ ქ.ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში ხორციელდება კვლევა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებით. თქვენი, როგორც მოსწავლის მოსაზრებები ჩვენთვის ფასეულია. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია. გთხოვთ იყოთ გულწრფელი.

1. რამდენად მოგწონთ მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები?

ა) მომწონს    ბ) ნაწილობრივ მომწონს    გ) არ მომწონს.

2. რა ტიპის აქტივობებში ხართ ჩართული?

ა) ჯგუფური    ბ) ინდივიდუალური    გ) წყვილებში.

3) როგორი აქტივობებით დატვირთული გაკვეთილი მოგწონთ?

ა) ექსპერიმენტი    ბ) პრაქტიკული სამუშაო    გ) ტექნოლოგიების გამოყენება.

4. მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით შეიცვალა თუ არა თქვენი ინტერესი საგნის მიმართ?

ა) კი    ბ) ნაწილობრივ    გ) არა.

## პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგების გაზიარების რეფლექსია

სსიპ ქ.ქუთაისის N14 საჯარო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებელთან ერთად განვახორციელე კვლევა თემაზე „როგორ გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში“. საკვლევი საკითხი აქტუალური იყო, როგორც კვლევაში ჩართული პედაგოგებისთვის ასევე სკოლის იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც ასწავლიან საბაზო და საშუალო საფეხურზე და არ შედის STEM-ის ჯგუფში. კვლევა გრძელდებოდა ცხრა თვის მანძილზე (2018-2019ს.წ. ოქტომბერი-ივნისი).

საკვლევი საკითხის არსის გარკვევის შემდეგ შევიმუშავე კითხვარები ფოკუს ჯგუფისთვის (მასწავლებლები), მივმართე ანკეტირებას მოსწავლეებსა და მშობლებთან. მოვახდინე მონაცემთა ანალიზი, დავგეგმე ინტერვენციები, რომ გავსულიყავი შედეგზე, გავაკეთე დასკვნები და შევიმუშავე რეკომენდაციები.

2019 წლის 18 ივნისს გაიმართა მე-14 საჯარო სკოლის პედაგოგთა შეხვედრა, სადაც მოხდა კვლევის შედეგების გაზიარება PowerPoint-ის პრეზენტაციის სახით. შეხვედრაზე დეტალურად განვიხილე ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის ეტაპები. შეხვედრის მსვლელობისას მსმენელებს საშუალება ჰქონდათ დაესვათ კითხვები და გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები აღნიშნული საკითხის მიმართ. მათ დაადასტურეს, რომ საკვლევი პრობლემა იყო მართლაც აქტუალური და ისინიც აწყდებოდნენ ამ პრობლემას საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში. დაინტერესდნენ კვლევის შედეგებით. პრეზენტაციის ბოლოს გაიმართა დისკუსია, საინტერესო იყო მსჯელობა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ და რა გზებით არის შესაძლებელი მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში მაღალ კლასებში. მასწავლებლებისგან მივიღე შემდეგი უკუკავშირი: საინტერესო თემაა და თან აქტუალური სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად, საინტერესო იყო წარმოდგენილი დასახული ინტერვენციები, საჭიროა მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურება, რათა მრავლად დაიგეგმოს გაკვეთილი, რომლის მიზანია მოსწავლეთა მაღალი ჩართულობის უნარის გამომუშავება, კვლევის მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია წლიური კურიკულუმის შედგენა კვლევის გამოცდილების გათვალისწინებით (მამოტივირებელი აქტივობებით), კარგი იქნება თუ კვლევის შედეგად მიღებული გამოცდილება აქტიურად დაინერგება არა

ერთ, არამედ ყველა გაკვეთილზე, რადგან ზოგადად ხელი შეეწყობა მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას, რომელიც მათ ჭირდება ყოფა-ცხოვრებაში. მივიღე საინტერესო რჩევები, რასაც გავითვალისწინებ მომავალ პედაგოგიურ საქმიანობაში. საბოლოოდ კვლევამ დადებითი შედეგი გამოიღო.

ჩემ მიერ განხორციელებულმა კვლევის ინტერვენციებმა ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას საგაკვეთილო პროცესში. პროგრესად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ კვლევაში მონაწილე მშობლები უფრო დაინტერესდნენ საკუთარი შვილების სწავლის პროცესით. მშობელს, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის დამყარდა საქმიანი თანამშრომლობა, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებასა და მათი უნარ-ჩვევების განვითარებას. აღნიშნულმა კვლევამ საკმაოდ დიდი პედაგოგიური გამოცდილება შემძინა, სასწავლო პროცესი გახდა საინტერესო არა მარტო ჩემი მოსწავლეებისთვის, არამედ ჩემთვისაც. გამომიბუშავდა უნარი თუ როგორ ვაწარმოო საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა და ვეძებო პრობლემის გადაჭრის გზები.